

1968 MEXICO

ფილიპინა უეზბა

რომი, 6 ივნისი. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოლიმპიური კომიტეტმა დღეს გამოაქვეყნა მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ფინალური ტურნირის წილისყრის შედეგები.

4 წინასწარი ჯგუფი ასეთია: „ა“ ჯგუფი (მატჩები გაიმართება მეხიკოში) — მექსიკა, კოლუმბია, საფრანგეთი და ალჟირისა და გვინეის გუნდებს შორის გამარჯვებული.

„ბ“ ჯგუფი (პუებლო) — ესპანეთი, ბრაზილია, ნიგერია, იაპონია.

„ც“ ჯგუფი (გვადალახარა) — უნგრეთი, სალვადორი, ისრაელი და განანა და მაროკოს გუნდებს შორის გამარჯვებული.

„დ“ ჯგუფი (ლეონე) — ჩეხოსლოვაკია, გვატემალა, ბულგარეთი და ტაილანდი.

3 ადგილის 10 პრეზენტაციები

მილანი, 6 ივნისი. „კოსტა“ საცურაო აუზში მიმდინარეობს ფეხბურთის 10 ქვეყნის წყალბურთელთა გუნდების შეპარჩევი ასპარეზობა. რომლის მონაწილეები ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. პირველ ჯგუფში თამაშობენ: ავსტრია, ბელგია, ინგლისი, ესპანეთი, პოლონია, მეორეში — გერმანია, ბულგარეთი, საბერძნეთი, ფინეთი, შვეიცია. ამ ტურნირის სამი საბოლოო გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ფინალში. ეს უფლება უკვე მოპოვებული აქვთ უნგრეთის, იუგოსლავიის, სსრ კავშირის, იტალიის, რუმინეთის, ვლადის, მექსიკის, კუბის, აშშ-ს, ბრაზილიისა და ავსტრალიის გუნდებს.

პირველი შეხვედრების ტექნიკური შედეგები ასეთია: ბულგარეთი — ფინეთი 7:0, პოლონია — ბელგია 3:2, ესპანეთი — ინგლისი 8:4, გერმანია — შვეიცია 4:2, ესპანეთი — ბელგია 6:2, ავსტრია — ინგლისი 5:2, შვეიცია — ფინეთი 7:3, გერმანია — საბერძნეთი 8:4.

კამბოჯა უარს ამბობს

პნომ-პენი, 7 ივნისი. „შინური მიზნების გამო კამბოჯა ვერ შეძლებს XIX ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას“. — ნათქვამია სპორტში სამეფო მთავრობის წარმომადგენლის უნგ გუნ ხორის აქ გამოქვეყნებულ წერილში მეხიკოს ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური მდივნის სახელზე.

კაკაპი სკოლისეზები

საჩხერის რაიკოოპერატორის პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე გადარწმუნდა, რომ რაიკოოპერატორმა საქმიანი დახმარება გაუწიოს ა. წერეთლის სახელობის საშუალო სკოლას სპორტული ბაზების კეთილმოწყობაში. მისაბამი თანხონობა. ა. ანასაშვილი. (ჩვენი კორ).

საჩხერე.

ლელო


№ 111 (3595)

8

1968 წ. ივნისი თვის 8-ე ნომერი. ფასი 3 კპ.

საპარტიულო სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების პავიონისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბავოს ორგანო

გამოცემის 24-ე წელი.



ეს საყურადღებოა!

კრებულის გამოსაცემად

საპარტიულოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისათვის დაკავშირებით ფიჭულტურის ინსტიტუტს განზარბული აქვს გამოსცეს კრებული, რომელშიც გაშუქდება ჩვენს რესპუბლიკაში სპორტის, სპორტული მეცნიერების განვითარების ისტორია და მისი მთავარი საკითხები განვლილი 50 წლის მანძილზე.

საქმიანი საქმიანი

- ბარნი, 6 ივნისი. საფრანგეთის დედაქალაქის გარეუბან სენ-მორის სტადიონზე წარმატებით იასპარეზა 25 წლის ფრანგმა მძლეოსანმა ე. დანკოსმა: მან დაიბრუნა ევროპული რეკორდი ჯოკით სტომაში — დაიღია 587 სმ. ეს 7 სანტიმეტრით სჭობს ჯ. პაპანიკოლაუს (საბერძნეთი) ძველ მიღწევას, რაც შარშან ოქტომბერში იქნა ნაჩვენები მეხიკოს წინა-ოლიმპიურ შეჯიბრებაში. ახლა ჩვენი კონტინენტის რეკორდი სულ 1 სანტიმეტრით ჩამორჩება მსოფლიო რეკორდს. დანკოსმა 545 სანტიმეტრის სიღრმეში, მაგრამ მისი სამივე ცდა ამაო გამოდგა.
- მიწისძვრა, 6 ივნისი. სსრ კავშირის ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ფრედ (1:1) თამაშა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანატოლებთან.
- გულაპეზი, 6 ივნისი. უნგრეთის სამილიან ველორბოლაში გამარჯვებულმა გერაბე (გარ). 500 კმ-ზე მისი შედეგია 12:51.15. II ადგილზეა უნგრელი კურაუ (12:52.50), ხოლო III — ასევე უნგრელი გერა (12:53.14).
- სან-ხუანი, 6 ივნისი. მსოფლიოს ექსპრესდსმენმა, პუერტორიკელმა ძალოსანმა ფ. ბაეც კრუსმა მოიცილა უსაბოგნო წინდებულა

გუშინწინ თბილისში „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა მატჩი რეგ-ბიში, რომელსაც საქართველოს წლევანდელი ჩემპიონის ვინაობა უნდა გაერკვია. დედაქალაქის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ გუნდების დამატებითი ორთაბრძოლა რეინიგუნთა გამარჯვებით დამთავრდა — 8:8. სურათზე: შეჯიბრების მომენტი. ფოტო მ. ზარგარიანისა.

სუპერსუპერ საათი

- ბარნი, 7 ივნისი. საფრანგეთის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატში სსრ კავშირის ქალთა წყვილმა — მოსკოველებმა გ. ბაკშევამ და ი. დობრივამ მეოთხედფინალამდე წააგეს ბრძოლა ამ ტურნირის ერთ-ერთ უძლიერეს დუეტთან — ბრაზილიელ მ. ბუენოსა და ამერიკელ ნ. რიჩიტთან — 2:6, 12:10, 3:6. „როლანდ გაროსის“ კორტებზე მორიგი სენსაციის ავტორებად მოგვევლინენ რუმინელები ი. ცირიაკი და ი. ნასტასე. მათ ფარ-ხმალ დააყრდენეს პროფესიული ჩოგბურთის ერთ-ერთ უძლიერეს წყვილს — ამერიკელ პ. გონსალესსა და ესპანელ ი. ხიმენოს — 6:3, 6:2, 10:8. აქვე უნდა ითქვას, რომ ერთეულთა თანრიგში რუმინეთის ჩემპიონმა ცირიაკმა მეოთხედფინალში ნამდვილი ბრძოლა გაუმართა პროფესიული ჩოგბურთის ვარსკვლავს რ. ლეიერს. ავსტრალიელმა მხოლოდ ხუთ პარტიაში დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა.
- მსლსმნი, 7 ივნისი. მსოფლიოს რეკორდსმენმა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში გ. რულანტსმა (ბელგია) წლევანდელი პირველი სკადა ძალა თავის მთავარ დისტანციასზე. მისი შედეგია 8:39,4. პოლონელმა ი. სიდლომ შუბი 83,86 მეტრზე ტყორცნა. II ადგილი დაიკავა უნგრელმა მ. ნემტმა — 81,58 მ. შემდეგ მოდიან: ი. კინუნენი — 81,12, ოლიმპიური ჩემპიონი პ. ნეველა (ორივე — ფინეთი) — 77,08.

და დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი მჩატე წონის ათლეტებში — აკიმა 125 კგ. ეს 1 კილოგრამით მეტია უნგრელი ი. ფიოლის მიერ ამას წინათ დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე. სამკიდის ჯამში ახალმა რეკორდსმენმა 357,5 კგ დააგროვა.

- ლონდონი, 7 ივნისი. ინგლისის ველოტურის XI ეტაპი (მიდლსბრო — ბერვიკ-ონ-ტეიდი, 203 კმ) მოიგო ინგლისელმა ლ. უესტმა — 5:13:57. გუნდურ ჩათვლაში ინგლისელებმა იმარჯვეს, რისი წყალობითაც ისინი II ადგილზე გავიდნენ და ინტერნაციონალური ნაკრები მესამეზე გადაანაცვლეს. სამკითა გუნდი ამ ეტაპზე მეოთხე იყო. ინგლისელი მობოლოლის წარმატებით აღინიშნა XII ეტაპიც (ბერვიკ-ონ-ტეიდი — კარლაილი, 166 კმ): ფინიშთან პირველი მიიჭრა 20 წლის გ. ოლკოკი — 4:34:57. მეორე იყო სამკითა გუნდის წევრი ნ. ფაღველი — 4:35:17. პირად ჩათვლაში 12 ტურის შემდეგ I ადგილზეა საგზატკეცილო რბოლაში მსოფლიო ჩემპიონი, შვედი გ. პეტერსონი — 48:32:49. II ადგილზეა გ. სოკოლოვი — 48:40:39. გუნდურ ჩათვლაში ლიდერობას კვლავ ინარჩუნებენ სამკითა სპორტსმენები. მათ შორის, რომლებიც „სამთო მეფის“ ტიტულსთვის აცხადებენ პრეტენზიას, პ. დილის (ინგლისი) შემდეგ II ადგილზე ტარტული ი. კლასკაპი.
- მსლსმნი, 7 ივნისი. აქ გამართული საერთაშორისო ტურნირის ფინალში ტალინელი თ. ლეიუსი დამარცხდა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელთან მ. სანტანასთან (ესპანეთი) — 1:6, 1:6, 4:6.
- სელარბანენი, 7 ივნისი. მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში 20 წლის შვედმა ბ. იონსონმა 215 სმ სიმაღლე დაძლია. მისმა თანამემამულეებმა და თანატოლებმა პ. ლიუნდმარკმა და ი. დალგერნმა 209 სმ აჩვენეს.

გამარჯვებული მღაპრებს... მღნეტებს

იტალიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების ნახევარ-ფინალური მატჩი ევროპის პირველი ნახევარს იტალიის ნახევარ-ფინალურ გუნდთან წინააღმდეგობა გაუძლიერა. მატჩი უშედეგოდ დამთავრდა. 120 წუთი ან ი. ბრძოლა, გამარჯვებული კი არ იყო.

მთელი დამატებითი დროისა, მიუხედავად ფორვარდების უველა ცდისა, თუნდაც ერთხელ მაინც აედლოთ მეტოქის კარი, მატჩი უშედეგოდ დამთავრდა. ამიტომ ძალაში შევიდა ჩემპიონატის დებულების ის პუნქტი, რომელიც ნახევარფინალური მატჩის ფრედ დამთავრებისას ითვალისწინებს წილისყრას.

თუ გამარჯვებული ვერ გამოვლინდება მინდორზე ბრძოლის შედეგად, იგი უნდა „დაასახელოს“ იმდროინდელი კენჭა. და აი, მატჩის არბიტრი კ. ჩენერტი (გერმ.) სამხარეთოაზიაში იწვევს ყველა ოფიციალურ მატჩს, ვინაც კი საქმე აქვს ნახევარფინალური მატჩთან. აქ იყვნენ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მდივანი ბერტოლინი, სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი მ. იაკუშინი, ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი პუიოლი (ესპანეთი), გმრადითი მსაჯები დინსტი (შვეიცარია) და უოლტი (უნგრეთი) და „მოლავე“ მხარეთა წარმომადგენლები — საბჭოთა გუნდის კაპიტანი ა. შესტერნიკი და იტალიელთა კაპიტანი ჯ. ფატი.

ჩენერტმა წინადადებით მიმართა შესტერნიკს, აერჩია 8 მონეტებიდან ერთი: შვეიცარიული, ამერიკული ან ფრანგული. შესტერნიკმა ფრანგული აირჩია. ეს იყო 1986 წელს მოჭრილი ათფრანკიანი მონეტა.

ამის შემდეგ ჩენერტმა წინადადება მისცა ფატი, აერჩია მონეტების მხარე. იტალიელთა კაპიტანი იჩინა. მსაჯმა მონეტა აკაიო და დააფარა მარჯვენა ხელი. როცა ჩენერტმა ხელი აიღო, აღმოჩნდა, რომ მას იტალიელთათვის მოუტანა ფინალში I ადგილისთვის თამაში უფლება. ეს ბედნიერი მონეტა იქვე ჩაიბარა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ა. ფრანკიმ.

რა შეიძლება ითქვას თვით მატჩის შესახებ? იგი იყო ძალიან საინტერესო და დამაბნელებელი. იტალიელთა მწვრთნელმა ფ. ვალკარტიმ აღნიშნა, რომ, მისი აზრით, საბჭოთა ფეხბურთელების უკეთესი უნდა გამოყენებულიყო იტალიელთა სისუსტეები და განსაკუთრებით გაუსვავდა ბიშოვციკისა და ბანიშევსის ძლიერ თამაშს.

იაკუშინმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საბჭოთა გუნდი შესუსტებული თამაშითაა ბურცილივას, ჩისლენკოსა და ანიჩინის ავადმყოფობის გამო. იტალიელთაგან მას განსაკუთრებით მოეწონა ახალგაზრდა პრატე, უაღრესად სახიფათო, ტექნიკური და აგრესიული ფორვარდი.

ნახევარფინალური მატჩი მოწინააღმდეგეებმა ასეთი შემადგენლობებით ჩატარეს: იტალია — მოფო, ბურგნიჩი, ფატი, ფერინი, ბერტოლინი, კასტანო, დომენგინი, იულიანი, მაკოლა, რივერა, პრატე; სსრ კავშირი — პშენიჩნიკოვი, ისტომინი, შესტერნიკი, კალოფევი, ლენიოვი, ბანიშევსი, ბიშოვციკი, ევრიუიჩინი.

არაჩაკლებ დამატებითი გამოდგა მეორე ნახევარფინალური მატჩი ფლორენციაში ინგლისსა და იუგოსლავიის გუნდებს შორის. რატომ უნდა, მსოფლიო ჩემპიონებს — ინგლისელებს საგრძნობი უპირატესობა მქონდათ თამაშის მსვლელობაში და მათ არაერთი სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან. იუგოსლავიელთა ბელი ხშირად ბეწვზე ეცადა, მაგრამ გოლი, რომელსაც ინგლისელებისთვის უნდა მოეტანა ფინალში თამაშის უფლება, არ ჩანდა.

და ბოლოს მოხლოდა მატჩის დასასრული. როცა ინგლისელები

თავიანთ უკანასკნელ იერიშებს ახორციელებდნენ, იუგოსლავიელთა მარცხენა გარემარბმა ჯაჩიმა მიიღო მინდვრის ხიდრმიდან მიწოდებული ბურთი, სწრაფად მიუახლოვდა მეტოქის კარს, გამოიყენა მკარებ ბენქის დაბნეულობა და უძლიერესი დარტყმით გაიტანა გოლი. დარჩენილი ორიოდე წუთი ინგლისელებს არ ეყოთ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მაქსიმუმ, რაც მათ დარჩათ, ესაა ბრძოლა III ადგილისთვის.

ამ მატჩში მოწინააღმდეგეები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობებით: ინგლისი — ბენქი, ნიუტონი, უილსონი, მიულერი, ლებონი, მური, ბოლი, მანტი, ჰარლტონი, პიტერსი, მანტერი; იუგოსლავია — პანტიჩი, ფალოვიჩი, დამიანოვიჩი, პავლოვიჩი, პაუნოვიჩი, მოლცერი, პეტკოვიჩი, ოსიმი, მუსევიჩი, ტრევიჩი, ჯაჩი.

მაშ ახე, დღეს ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი მატჩებია. ორივე თამაში შედგება რომში, „სტადიო ოლიმპიკოს“ მინდორზე. ფეხბურთის მოყვარულნი III ადგილისთვის ბრძოლას ნახავენ 20 საათსა და 40 წუთზე (თბილისის დროით), ხოლო მატჩს ოქროს მედლებსთვის — 23 საათსა და 10 წუთზე.

გალაშფვებელი მატჩების რეგლამენტი ასეთია: თუ ფინალური თამაში დამთავრდება ფრედ, დანიშნულია 2 დამატებითი ტაიმი, თვეულია 15 წუთის ხანგრძლიობით. თუ გამარჯვებული ვერ გამოვლინდება დამატებითა დროც, 10 იწინეს შედგება დამატებითი მატჩი იმავე პირობებში. თუ არც ამ შემთხვევაში იქნა გამოვლინილი გამარჯვებული, მოეწესბირა წილისყრა.

მატჩი III ადგილისთვის ჩატარდება მესამე ფრედ დამთავრების შემთხვევაში დაინიშნება დამატებითი 2 ტაიმი 15-15 წუთის ხანგრძლიობით. თუ გამარჯვებული დამატებით დროშიც არ გაირკვა, მოხდება წილისყრა.

საინტერესოა გავიხსენოთ ზა, რომელიც გაირჩეს ევროპის ჩემპიონატის ფინალის მონაწილეებმა.

იტალია

იტალიელებმა VI შესარჩევ ჯგუფში თამაშეს რუმინეთთან (3:1, 1:0), კვიპროსთან (2:0, 5:0) და შვეიცარიასთან (2:2, 4:0).

მეთხუთმედიანობა იტალიელებმა სლოვენიის წინააღმდეგ (2:8, 2:0), ხოლო ნახევარფინალში ფრედ თამაშეს სსრ კავშირთან (0:0) და ინგლისთან (1:1) წაუგებინათ. გვიღენდნენ უკაროს სარბიელზე.

იუგოსლავია

IV ჯგუფში იუგოსლავიელთა პირველი მეტოქე იყო მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი. მეტოქეებმა თითო მატჩი მოუგეს: იუგოსლავიელებმა — 1:0, გერმ. — 3:1. ამის შემდეგ ორგერტი იქნა დამარცხებული ალბანეთი — 2:0 და 4:0.

მეთხუთმედიანობა იუგოსლავიელებმა მოუგეს საფრანგეთს (1:1, 5:1) და ნახევარფინალში — ინგლისს (1:0).

ინგლისი

VIII ჯგუფში ინგლისი — ჩრდილოეთ ირლანდია — 2:0, 2:0; ინგლისი — შოტლანდია — 2:3, 1:1; ინგლისი — უელსი — 5:1, 3:0. მეთხუთმედიანობა ინგლისელებმა დამარცხეს ესპანეთი — 1:0 და 2:1. ნახევარფინალში ინგლისელებმა წააგეს იუგოსლავიელებთან — 0:1.

სსრ კავშირი

III ჯგუფში სსრ კავშირი — ავსტრია — 4:3, 0:1; სსრ კავშირი — საბერძნეთი — 4:0, 1:0; სსრ კავშირი — ფინეთი — 2:0, 5:2.

მეთხუთმედიანობა საბჭოთა ფეხბურთელებმა დამარცხეს უნგრეთის გუნდი (0:2, 3:0), ხოლო ნახევარფინალური მატჩი სსრ კავშირისა და იტალიის გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ (0:0) და ფინალში თამაშის უფლება იტალიელებს წილად ჰგდათ წილისყრის მეშვეობით.

სტრადიციის არ დასრულვდა

ამერიკის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა მორიგი მატჩის მონაწილეებს ამჯერად კომინოვი მასპინძლობდა. ამ ტურნირების ისტორიაში საქართველოს სპორტმენებმა მხოლოდ ერთხელ წააგეს ამერიკაიანის გუნდთან, სხვა დროს კი მუდამ გამარჯვებული ტოვებდნენ სარბიელს. სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპორტკაილის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკების გუნდებისთვის ფაქტურად ეს მატჩი გახლდათ ყველაზე დიდი ღონისძიება და ასპარეზობისთვის მოსამსადებლად ძალაყ არავის დაუხოგავს.

საქართველოს კოლექტივი ბრძოლაში ერთგვარად შესუსტებული ჩანდა. ათბილელთა ტურნირში არ გამოხატა ი. დიჩიკოვი, თარჯმობრენალი ი. კოვლეკი ამ დღებში სოფიაში ასპარეზობდა (გაზეთ „ნაოლინა მლაღველი“ მიერ მოწყობილ საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის გუნდის სახელით გამოდიოდა), ზოგიერთები კი უმადლეს სასწავლებლებში გამოცდებისთვის მზადებით იყვნენ დაკავებული. ამას დაუმატოთ, რომ ჩვენი გუნდის წევრთა ნაწილმა ვარჯიში გვიან დაიწყო და სპორტულ ფორმში შესვლა ვერ მოასწრო. ყოველივე ეს ნიშნავდა, რომ ჩვენს მეტოქეებს გამარჯვების ერთგვარი იმედი უნდა ჰქონდათ, მაგრამ ტრადიცია არც ახლა დარღვეულა.

საქართველოს ნაკრები პირველივე დღეს დაწინაურდა. მან 17 ქულით ჩამოიტოვა II ადგილზე მყოფი აზერბაიჯანის გუნდი, მაგრამ ამას ძალთა მანქანაში უნდა დამბევა დასჭირდა. ჩვენებმა პრიორიტეტს 36 სახეობიდან 14-ში გამარჯვება მოიპოვეს, შვიდში კი II ადგილები დაიკავეს. ვაჭები წარუმატებლად გამოვიდნენ 100, 400, 1500 და 5000 მეტრზე რბენაში, 3000 მეტრზე წინააღმდეგობით რბენაში. 100 მეტრზე რბენაში მეტს ველოდით ხალხთა სპორტკაილის ფინალისთვის, სხვაშულოდ ა. კოსტინიდან, მაგრამ მან მხოლოდ 10,9 აწინა და თბილისის მთ. მდინარაქსთან ერთად IV-V ადგილები გაიყო. 400 მეტრზე რბენაში თავიანთ თმბალებლობაზე უსუსტად გამოვიდნენ თბილისელები ტ. ბასტაძე და ა. ანდრევი (შესაბამისად III-IV ადგილები). ბასტაძის რესპუბლიკური რეკორდი 47,5 წამია და საქართველოს რეკორდს იოლად შეუილო პირველობის მოპოვება.

იხვი ვერც სტატიურებმა გავეიარა. მათთან, 10.000 მეტრზე რბენაში კურსანობმა III ადგილი დაიკავეს, მაგრამ სტრუბინი ბოლო იყო, სემინდოვა და მაირომიანა კი 5000 მეტრზე IV და VII ადგილები დაიკავეს.

რ. მაირომიანი კარგი მონაწყობის მქონე სპორტსმენი, მაგრამ წყრუნას, როგორც ჩანს, უგუნდოადაც ეპყრობა. წარუმატებლად გამოვიდნენ ი. სტარინი და ა. სოფიკინი, რომლებმაც 1500 მეტრზე რბენაში IV და VI ადგილები დაიკავეს. სოფიკინი კი გამარჯვების მთავარ კანდიდატად მიაჩნდათ.

მარცხი ვიწვნით სიმადლეზე სტომამიცი ვაჭებმა — 5. საგნულიძემ და ი. ჩახუნაშვილმა მხოლოდ 195 სმ დაძლიეს (IV-V ადგილები), ქალები ლ. შუმბილია (150 სმ) და ლ. კორკობაძე (145 სმ) კი ბოლო ადგილებზე დარჩნენ.

მეტისმეტად უსუსური იყო საქართველოს ჯოკით მსტრუბელთა მარცხელები. ჩვენს გუნდში საუკეთესო — თათოყონიანი 4 მეტრზე ძლიერ გადახტა და IV ადგილზე გავიდა. ფიბერგლასის ჯოკით კი ეს შენდები თითქმის არაფერია. თავად განსაკუთრებული



მოლდავეთის გუნდის ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო ა. გამალის მარჯვენისა (465 სმ), რომელმაც მას I ადგილი მოუპოვა. შვეიცარიელებს დიდი მუშაობა მართებდა, რომ საქართველოს გუნდს თრდაც ერთ-ერთი პირველი კლასის სპორტსმენი ჰყავდეს 800, 1500, 5000, 10.000 მეტრზე რბენაში, 3000 მეტრზე წინააღმდეგობით რბენაში, ჯოკით სტრამში, ურთა ტყორცნაში.

კომინოვის მატჩმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ინტენსიურ ვარჯიშს სათანადო ნაყოფიც მოაქვს. მაგალითი — სოფიაში, რომელშიც თ. რომანოვა. მისი ძირითადი სახეობა 80 მეტრზე თარჯრბენია, მაგრამ ამ შეჯიბრებაში გუნდის ინტერესებისთვის იგი 100 მეტრზე თარჯრბენში გამოვიდა, სადაც პირველად შემოიღეს თარჯრბის ასალი სიმადლე — 83,8 სმ. რომანოვამ 15,4 აწინა და მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩა I ადგილზე გასულ აზერბაიჯანელ ფ. იხმაილას.

კარგი შედეგები აჩვენეს სოსუმელმა გ. ხანგიამ და თბილისელებმა გ. შუთათელაძემ, ლ. იფლევა, გ. გუდაშვილმა, ი. დელაროსამ, ა. შვირბინამ...


სანევემა სიგრძეზე სტომამი 44 სანტიმეტრით აჯობა II პრიზიორს გ. კოლუკს (აზერბაიჯანი, 725 სმ), საშტომში კი 16,16 მ აწინა. სამტრში II ადგილზე გავიდა თბილისელი ლ. დარახველიძე — 15,64 მ. იფლევა გერ 80 მეტრზე თარჯრბენი მოიგო მისთვის საშუალო შედეგით (11,0 წამი), მაგრამ შემდეგ სიგრძეზე სტომამი 616 სმ აწინა, რამაც II ადგილი მოუპოვა. იგი ორჯერ გადახტა 650 სმ-ზე, მაგრამ ორჯერვე არცენის

ხასხუნდა და დეა ფეხი და ნახტომეში არ ჩავთვალა. განსაკუთრებული ქების ღირსია ესალგარდა მძლეოსანი ა. მოშიაშვილი. სპეციალისტების აზრით, მისგან კარგი თარჯმობრენალი დადგება, თუ უფრო ინტენსიურად ივარჯიშებს და განსაკუთრებულ ყურადღებას სიწრაფის ჩვენების განვითარებას დაეთმობს. მოშიაშვილმა კომინოვში 110 მეტრზე თარჯრბენი მოიგო (14,9), 200 მეტრზე თარჯრბენში კი მარტო გამარჯვებულ გ. ლისინთან (ასერბაიჯანი) წააგო.

გ. ქუთათელაძემ ყველას აჯობა ორ დისტანციაზე — 100 (12,1 წამი) და 200 მეტრზე (24,6) რბენაში. 200 მეტრზე რბენაში მან მეორედ შესრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. აღსანიშნავია, რომ მეორე დისტანციაზე ქუთათელაძემ 10 მეტრზე მეტი მოუწო II პრიზიორს ს. ტარასოვს (მოლდავეთი).

30 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ჩვენს ქვეყანაში წლეულს ერთ-ერთი საუკეთესო შედეგით (2.23. 02.2) გაიმარჯვა შვეიცარიამ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საბოლოოდ საქართველოს ნაკრებმა 436,5 ქულით მოიგო, II პრიზიორმა — მოლდავეთის გუნდმა — 401. შესამე იყო აზერბაიჯანის კოლექტივი — 331,5. სომხეთის გუნდმა IV ადგილი დაიკავა — 240. 5. გიმელოაშვილი. სურათები: ზევით — ლ. იფლევა სიგრძეზე სტომასა; ქვევით — ა. მოშიაშვილი ასპარეზობის დროს. ფოტო ო. გილაშვილისა.



მსოფლიო რეზონანსით

მოსკოვში მიმდინარეობს დედაქალაქის ტრადიციული, 46-ე საკადრაკო პირველობა. რომელიც დიდად გამოირჩევა წინამორბედებისგან: შეჯიბრებაში ჩაბმულია 8 დიდოსტატი თვით მსოფლიო ჩემპიონის ტ. პეტროსიანის თავაყობით. ეს პირველი შემთხვევაა, თუმცა მოსკოვში ყველაზე მეტი ჩვენი დიდოსტატი — 14 ცხოვრობს (32-დან). პირველობა მსოფლიო რეზონანსის შეჯიბრებად იქცა.

8 ტური უკვე გათამაშდა. ნათელი მოუფინა მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობას, ბრძოლისუნარიანობას, შანსებს.

ლიდერთა ჯგუფში არიან დ. ბრონსტეინი — 6,5, პეტროსიანი და ი. ავერბახი — 5,5-5,5. მათ პარტია არ წაუგიათ. სამაგიეროდ, ლიდერმა 5 პარტია მოიგო. პეტროსიანი და ავერბახმა კი სამ-სამი. საინტერესოა ალი-ნიშნოს, რომ პეტროსიანი სამივე პარტიაში თეთრებით გაიმარჯვა.

არც ვ. ლიბერზონი (5) და რ. ხოლმოვი (4,5) დამარცხებულან, მაგრამ

მოსკოვის საპარაკო პირველობა. 8 ტურის შედეგები

მათ აქტიუმი ყაიმი ქარბობს. მაგალითად, ხოლმოვიმა 7 შეხვედრა დამთავრა შავით.

წარუმატებლად გამოდიან დიდოსტატები ა. სუბინი (4), ვ. სიმაგინი და ლ. შამკოვიჩი (3-3 ქულა და თითო გადაღებული პარტია).

გულშემატკივრები აშკარად ქობაგობენ უნივერსიტეტის სტუდენტს, ოსტატ ი. შაიკებს (5). ახალგაზრდა მოჭადრაკე მსოფლიო ჩემპიონთან ყაიმის შემდეგ სუბინს მოუგო. მისი თანატოლები ბ. გულკო, გ. ავეიჩენკო და ა. ბიხოვსკი კიდევ იგებენ, კიდევ აგებენ. მსგავს მდგომარეობაშია მოსკოვის შა-

რმანდელი ჩემპიონი ვ. ვოლოვიჩი. მან პეტროსიანთან პარტია ყაიმით დაამთავრა, მაგრამ გულკოსთან წააგო. დიდოსტატებთან და ახალგაზრდაბასთან ტიდილში ვერას გახდა ძველი გვარდიაც — ოსტატები ი. ესტრინი, თ. მოსივევი და ა. ხასინა.

როგორია პერსპექტივები? რა თქმაუნდა, ჩემპიონის საკითხი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. დიდოსტატთა სუთელუმა (პეტროსიანი, ბრონსტეინი, ლიბერზონი, შამკოვიჩი, სიმაგინი) ერთმანეთში უნდა ითამაშოს. ავერბახმა წარმატებით განვლო „სანიფათო ქურა“ — მოუგო სიმაგინს, დანარჩენებთან შეხვედრები კი ყაიმით დაამთავრა.

ფინიში, როგორც პირველობის მეორე ნახევარი საერთოდ, მძაფრი იქნება. და მაინც ყველაზე მეტად დამაფიქრებელია პეტროსიანის თამაში. ამ ბოლო დროს მსოფლიო ჩემპიონმა თითქოს დარტყმის სისუსტე დაკარგა.

თ. ნინოზვილი.



თბილისელი მოსწავლე ნინო ხუბულური ჭადრაკის დიდ სარბიულზე პირველად შარშან, სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატში გამოვიდა. მან თავი მოაწონა სპეციალისტებს შემოქმედებითი თამაშით. საერთაშორისო ასპარეზზე კი ხუბულური პირველად ამას წინათ ვინაღმეტი ჩვენს ტრადიციულ ქალთა V ტურნირში. ნიჭიერმა გოგონამ კარგად აიღო სტარტი, მაგრამ შემდეგ გამოცდილება არ ეყო...

6. ხუბულური საიმედო მომავლის მოჭადრაკეა, ამიტომ ყოველ მის გამოცდას სპორტული საზოგადოებრიობა ინტერესით ხედავს.

ფოტო მ. შარგარიანისა.

რთული ამოცანის

სვერდლოვსკი და მთავრდა სსრ კავშირის „ა“ კლასის II ჯგუფის ხელბურთულ ქალთა გუნდების I ტურის მატჩები. ამ ქალქში 6 გუნდი ასპარეზობდა, ხოლო დანარჩენი 6 ტალიში გამოდიოდა. წლებიანდელ შეჯიბრებაში თბილისი „ბურვეესტნიკთა“ (მწვრთნელი ჯ. ბაგრატიანი) წარმოდგენილი. გუნდი ძირითადად დაკომპლექტებულია პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებით (6 მითამაშე). მის შემადგენლობაში გამოდიან, აგროფვი, პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის (3), უნივერსიტეტისა (2) და „განთიადის“ (1) წარმომადგენლები.

ხუთი მატჩიდან ჩვენმა გუნდმა 3 მოიგო და 2 წააგო. გაიმარჯვეთ აშხაბადის „ზახმეტთან“ (20:9), ერევნის „ნაირისთან“ (13:12) და მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან (12:11). აღსანიშნავია, რომ სვერდლოვსკის ჯგუფში I ადგილი სწორედ მოსკოველებმა დაიკავეს (8 ქულა). მათ მხოლოდ თბილისელებთან იყენიეს მარცხის სიმწარე. წაგავთ ვერუნხეს „ბურვეესტნიკთან“ (7:11) და სვერდლოვსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდთან (13:19).

I ტურის მატჩები ტალიშიც დამთავრდა. ახლა 12 გუნდიდან თვითთულს 5 თამაში აქვს ჩატარებული და უკვე შეიძლება ითქვას, ვის რა მდგომარეობა აქვს გათამაშების ცხრილში. ესტონელები 9 ქულით I ადგილზე არიან. შემდეგ მოდიან მოსკოვის უნივერსიტეტი (8 ქულა), სვერდლოვსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ფრუნხეს „ბურვეესტნიკი“ (7-7). თბილისელები მინსკელ თანაკულ-

ხელბურთი ფინაშე

ბელებთან ერთად V-VI ადგილებს იყოფენ (6-6 ქულა). რიგის „დაუგავას“, ლენინგრადის „ბურვეესტნიკს“ და „ტრულს“ 4-4 ქულა აქვთ, კიშინიოვის „მოლოდია“ — 2, ერევნის „ნაირის“ და აშხაბადის „ზახმეტს“ — თითო ქულა.

სვერდლოვსკი გამართულ მატჩში თბილისელთაგან ყველაზე მეტი გოლის ავტორია ვ. ოლიოვაძე (20). ჯ. კასიანმა გაიტანა 9 ბურთი, ლ. სოლომხინამ — 8, მ. გელოვანიშვილმა — 7, ნ. ლეშჩიოვამ — 5, ნ. კუხიანიძემ, ლ. ახალიამ და ნ. ქოქუამ — 4-4, ა. კრასინამ — 3, მ. გრიგორიევამ — 1. გუნდის მეკარეებად ითამაშეს ვ. ივანოვამ და მ. მიქაბერიძემ.

თბილისის „ბურვეესტნიკს“ წარმატებას დარჩენილი 6 მატჩის შედეგები განსაზღვრავს. თუ თორმეტ გუნდში IV ადგილი მაინც დაიკავეს, ჩვენები „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებში მოხვედრისთვის ბრძოლის უფლებას მოიპოვებენ: I-IV ადგილებზე გასულნი ერთ დამატებით წრედ გაითამაშებენ პირველობას. გუნდები, რომლებიც ამ თთხულში I-II ადგილებს დაიკავენ, გაისად „ა“ კლასის I ჯგუფში იასპარეზებენ.

როგორც ხედავთ, თბილისელები მეტად რთული პრობლემის წინაშე დგანან, თუმცა ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელი როდია. საჭიროა სერიოზული მზადება, დარჩენილ დროში ძლიერ გუნდებთან ამხანაგური მატჩების მოწყობა და ა. შ.

ჯ. ანდელაძე.



▲ ნიუ-იორკში ზანგა ბ. ფოსტერმა მე-4 რაუნდში ნოკაუტით მოუგო მატჩი დ. ტაიგერს (ნიგერია) და ქვეშიძე წონის პროფესიონალ მოჭრევეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა.

▲ გონდოლეტიისა და იუგოსლავიის მოჭრევეთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური მატჩი მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: მონდოლეტმა მეტოქეები დიდი ანგარიშით (13:4) დაამარცხეს.

▲ გულბარში მძლეოსნები ენერგიულად ემზადებიან მესიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის და კარგ შედეგებსაც აღწევენ: ვ. ლევსკის სახ. სტადიონზე გამართულ ტურნირში 6 ახალი ვრონული რეკორდი დამყარდა. მათი ავტორებია: არიან: 3000 მეტრზე რბენაში — მ. მარკოვი — 8.08,4, 400 მეტრზე — ლ. ტომოვა — 56,4, 1500 მეტრზე

ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის ცენტრალური თავდასხმელი ჯ. ხაჯალია უადრესად აგრესიული, მაღალტექნიკური და ეშმაკი ფეხბურთელია. მეტოქეები მას არასდროს არ აკლებენ „ზრუნვას“ — მუდამ განსაკუთრებით მეურვეობენ. საქართველოში ყურადღების ოდნავ მოდუნება ან, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შეცდომა, რომ ქუთაისელმა ფორვარდმა მკაცრად დასაჯოს მოწინააღმდეგე.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ კუნთოვებულ მეტოქეთა რკალით გარშემორტყმულ ჯ. ხაჯალიას (მარცხნიდან მეორე), რომელიც, მიუხედავად ამისა, ახალ შეტევაზე ფიქრობს.

ფოტო თ. ჯავახიძისა.

— კ. დანაილოვა — 4,34,2, 200 მ თარჯინებით — დ. კოლევა — 28,5, ბირთვის კვრამი — ი. სრისტოვა — 17,04 და ხუთქიდეში — ს. იურკოვა — 4876. განსაკუთრებით აღსანიშნავია სრისტოვასა და იურკოვას რეკორდები. იურკოვას მანვენებული ხუთქიდის მსოფლიო ისტორიაში მე-12 შედეგია, სრისტოვასი კი ბირთვის კვრის ისტორიაში — მე-11.

▲ 21 წლის დ. შვაბმა 100 მეტრი 10,1 წამში გაიტანა და ჩეხოსლოვაკიის ახალი რეკორდი დამყარა.

▲ მშობურში გამართულ ტურნირში 100 მეტრზე რბენა მოიგო ფ. კინგმა. იგი მეორე ავსტრალიელი სპრინტერი, რომელმაც ამ დისტანციაზე 10,1 წამი აჩვენა. კინგი უძლიერესი იყო 200 მეტრზე — 20,8.

▲ რუმინი ჩატარდა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. ჯ. ფელომ უროს ტყარცენაში 3,86 მეტრით გააუმჯობესა იტალიის რეკორდი — 61,96 მ, რომელიც 1961 წლიდან კრისტის ეკუთვნის.

▲ მსობაპლიბრანი შაშხანით 50 მეტრიდან წოლელა სროლაში ბულგარეთის ოლიმპიური გუნდის წევრმა მ. კოენმა 600-დან 597 ქულა მოაგროვა და 2 ქულით გააუმჯობესა თავისი ქვეყნის რეკორდი.

ჩეხოსლოვაკიის პარცხი

მოსკოვი, 6 ივნისი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველი ფინალური მატჩი ადგილობრივ გუნდებს — ცსკა-სა და „ლინამოს“ ფრენბურთულ ქალთა შორის დინამოელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:0 (15:11, 15:5, 15:3).

„ლიდი კრისტალის“ (ეს ტრადიციული პრიზი, როგორც ცნობილია, გავით „სოვეტსკი სპორტში“ დააწესა) მფლობელებმა — არმიელმა ფრენბურთელმა მხოლოდ პირველ პარტიაში გაუჭიქა ჩეროვანი წინააღმდეგობა მეტოქეს.

პროვინციული თასი

პოლონელმა რეგისტრებმა მოიპოვეს ეროვნებათა თასის ევროპული გათამაშების ფინალში თამაშის უფლება. ფინლისაკენ გზა მათ გაუხსნა მაროკოს გუნდთან გაიმარჯვებამ — 5:0.


როგორც ცნობილია, პოლონელთა გარდა ფინალში უკვე გავიდნენ საფრანგეთის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივები.

რედაქტორი მ. კაპაბლანკა.

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებო


იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს ტელევიზიით ნარამოვებს ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი შეხვედრების გადაცემა, შეიცვალა თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა დღევანდელი მატჩის დაწყების დრო.

დღეს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე მატჩი თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა შორის სსრ კავშირის პირველობაზე დაიწყება 17 საათსა და 30 წუთზე.



გაუთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარაკებისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დემკუბისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 93-58-47, მასუხისმგებელი მდივანი — 93-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 93-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-95-14, ფოტოლამბორატორია — 93-95-16, მემანქანეთა ბიურო — 93-95-11, გამომცემი — 93-93-81.



136,7 კილომეტრის სისწრაჟით

მოსკოვში ამას წინათ გაიმართა სსრ კავშირის უძლიერეს სახელაო მოდელისტთა ტურნირი, რომელშიც მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ამიერკავკასიის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ასპარეზობის მიზანს შეადგენდა ჩვენი სპორტსმენების ძალთა შემოწმება და საუკეთესოთა შერჩევა იმ საერთაშორისო შეჯიბრებისთვის, რომელიც ივლისში გაიმართება გდრ-ში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა კ. პაჭკორიამ ახალი საკავშირო რეკორდი დამყარა შიდაუვის ძრავიანი (ცილინდრის მოცულობა 2,5 კმ სმ) სწრაფმავალი კორდული მოდელისთვის — მისმა მოდელმა საათში 136,7 კმ სისწრაფე განავითარა.

დიდ წარმატებას მიაღწია, აგრეთვე, ვოლოგრაძელმა ვ. ლიანიძემ, რომელმაც რადიომართვის სწრაფმავალი მოდელის შეჯიბრებაში სამი ვარიანტი მოიგო და სამივეჯერ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.